საჭიროა ღვთისმსახურების სახლის და რელიგიური ორგანიზაციის (FAITH-BASED ORGANIZATION, FBO) ფართი

პოტენციური თავშესაფრის შესამოწმებელი კითხვარი

ნიუ-იორკი განიცდის უპრეცედენტო ჰუმანიტარულ კრიზისს: გასული წლის განმავლობაში აქ ჩამოვიდა **70 000-ზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი პირი ლათინური ამერიკიდან და დასავლეთ აფრიკიდან** და ყოველ კვირას მათი რაოდენობა სულ უფრო მატულობს. ნიუ-იორკის კონფესიათაშორისი სამაშველო სერვისების (New York Disaster Interfaith Services, NYDIS) საგანგებო თავშესაფრების ქსელი (Emergency Shelter Network), ნიუ-იორკთან პარტნიორობით, დააფინანსებს 50 თავშესაფარს ნებისმიერი რელიგიური ტრადიციის ღვთისმსახურების სახლებში ან რელიგიურ სივრცეებში, რათა მომდევნო 12-24 თვის განმავლობაში ამუშაონ 19 თავშესაფარი მარტოხელა ზრდასრული მამაკაცებისთვის. თავშესაფრები ღია უნდა იყოს წელიწადში 365 დღე, 19:00 საათიდან 7:00 საათამდე.

თითოეულ ღვთისმსახურების სახლს ან რელიგიურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს:

- 2+ ერთადგილიანი საშხაპე კაბინა (ან ადგილი და მზადყოფნა, დააყენოს ჩვენთვის საშხაპე კაბინები)
- ხანძრის ჩაქრობის სისტემა
- სივრცე სპეციალური სასადილო და სოციალური ზონისთვის და შესაძლებლობა, უზრუნველყოს კულტურული ტრადიციების შესაბამისი კვება
- კომპეტენტური ენობრივი მომსახურება, მოხალისეები და პერსონალი (ესპანური, ფრანგული, დასავლეთ აფრიკის ფრანგული, ვოლოფი და ა.შ.)
- განთავსებასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი (მაგალითად, ენობრივი, დიეტური, რელიგიური და შშმ პირთა მოთხოვნილებები)
- საბავშვო საწოლების (დაკეცილი), ლოგინის თეთრეულის და სტუმრების ბარგის შესანახი ადგილი

კომპენსაცია: 65 აშშ დოლარი ღამეში ერთ ადამიანზე, 35 500 აშშ დოლარამდე თვეში, ავანსად ყოველთვიურად; ამ თანხიდან ობიექტი დააფინანსებს შემდეგ დოკუმენტურად დადასტურებულ ხარჯებს ან აუცილებელ მომსახურებას, როგორიცაა:

- პერსონალის/მოხალისეების სპეციალური შემოწმება (1400 აშშ დოლარამდე თვეში)
- დამლაგებლების ხელფასის თანხა (100 აშშ დოლარი დღეში ან 3100 აშშ დოლარამდე თვეში)
- 19:00 საათიდან 07:00 საათამდე ობიექტზე მყოფი ერთი თავშესაფრის კოორდინატორი (30 აშშ დოლარი საათში, შეღავათების ჩათვლით) = 11 000 აშშ დოლარს თვეში)
- 19:00 საათიდან 07:00 საათამდე ობიექტზე მყოფი ნიუ-იორკის შტატის ლიცენზირებული დაცვის ერთი თანამშრომელი ან არასამუშაო საათებში სამართალდამცავი ორგანების თანამშრომელი (360 აშშ დოლარი დღეში ან 11 000 დოლარამდე თვეში)
- ლოგინის თეთრეულის რეცხვის თანხა (775 აშშ დოლარი თვეში)
- საკვები: ყოველდღიური ცხელი ვახშამი და ცხელი ან ცივი საუზმე (3,27 აშშ დოლარი ერთ ადამიანზე ერთ კვებაზე = 4000 აშშ დოლარს თვეში)
- სახარჯი მასალები (1000 აშშ დოლარი თვეში)
- ყოველკვირეული თვითმომსახურების სამრეცხაოს ვაუჩერი 10 აშშ დოლარის ოდენობით თითო სტუმარზე (760 აშშ დოლარი თვეში)
- დაზღვევის თანხა (2000 დოლარამდე თვეში)
- Wi-Fi და საკაბელო ტელევიზია (165 დოლარი თვეში)
- **ფართით/კომუნალური მომსახურებით სარგებლობის თანხა თვეში საექსპლუატაციო ხარჯების ანაზღაურების მთლიანი თანხის 25%-ის ოდენობით — 9500 აშშ დოლარამდე თვეში.**

რას უზრუნველყოფს NYDIS-ის გადაუდებელი თავშესაფრების ქსელი?

- სადღეღამისო საგანგებო მხარდაჭერას
- NYDIS-ის თავშესაფრების სპეციალურ საოპერაციო მენეჯერს (Shelter Operations Manager) თქვენი პერსონალის/მოხალისეების ტრენინგის, აღჭურვილობისა და ტექნიკური დახმარების მხარდასაჭერად თქვენი თავშესაფრის მუშაობისთვის: სტუმრების განთავსების, ანგარიშების წარდგენაში დახმარების, ობიექტზე ყოველკვირეული მხარდაჭერის ჩათვლით
- თავშესაფრის ყველა მაძიებლისთვის სტუმრების განთავსებას თქვენს თავშესაფარში
- ლეპტოპს სტუმრებისთვის თავისუფალი და დაკავებული ადგილების დოკუმენტირებისთვის ყოველღამე, ასევე საჭიროებისამებრ ანგარიშების/ფორმების გასაგზავნად
- ყოველთვიურ საოპერაციო ავანსს 35 500 აშშ დოლარამდე და ფართის გამოყენების საფასურს 9500 აშშ დოლარამდე
- ბავშვის საწოლებს, ლოგინის თეთრეულს, ბალიშებს, პირსახოცებს/ხელსახოცებს დასაბანად და სამრეცხაო ტომრებს
- ბარგის შესანახ სათავსოს და საკეტს თითოეული სტუმრისთვის
- გრანტებს საშხაპეების დასამატებლად
- ყოველდღიურ ორმხრივ სამგზავრო MetroCard-ს თითოეული სტუმრისთვის
- მიმართვებს დაცვის, სამრეცხაოს, სურსათის შესყიდვისა და, საჭიროების შემთხვევაში, მომწოდებლების სამსახურებისთვის

იმის გასარკვევად, თუ როგორ დავეხმაროთ ჩვენს ახალ მეზობლებს კრიზისულ სიტუაციაში მასპინძლობის გაწევით და უსაფრთხო თავშესაფრის უზრუნველყოფით, ასევე თქვენი ძირითადი ხარჯების დაფარვის შესახებ ინფორმაციისთვის:

ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლების შესახებ

შეავსეთ ეს ონლაინ კითხვარი:

https://howalert.org/AsylumSeekerShelterSurvey

გამოკითხვა დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად აკმაყოფილებთ მოთხოვნებს თავშესაფრის კონტრაქტის დასადებად. ფორმის შევსება არაფრით არ გავალდებულებთ თქვენ ან თქვენს დაწესებულებას, გაცნობითი ხასიათის საუბრის გარდა.

ონლაინ კითხვარი